

გაზეთი ბეჭედი „ვერსია“ ერთი

# ვერსია



№21 (777) 25 - 26 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

## ირაკლი ნაკრასის უღმრთოებრივი ინანიზაციის ხელისუფლებას



33. 5

რის გამო უნოდებს ივანიშვილს „რუსულ მოვლენას“, რისკენ მოუნოდებს ირაკლი ლარიბაშვილსა და ირაკლი ადასანიას, რაცომ იმუქრება საედროების პიკეტირებით და რაცომ არ ანიჭებენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს პოლიცეპაციმრის სტატუსს

## „ნაციონალური“ პრეზიდენტობის კანდიდატად გიგი უგულავას ამზადებენ?



რაცომ უნდა უგულავას ციხეში ჩაჯდომა, რაცომ ოცნება აიხდინა სააკაშვილმა და რაცომ ულადცა ჯობეფ კეიმ პაწრონებს

33. 3

## გართლა „ნაციონალთა“ გასასამართლებლად იქმნება თუ არა ვიზენტალის ფონდი

ვინ იყო და რამდენი წყისცი ჯადათი გადსცა სიმონ ვიზენტალის სასამართლოს

ვინ არის მინიან ყარაუდაშვიდი და რაცომ მონათღეს თანამედროვე ციციკორედ


33. 8

# 20 გვერდი 40 თეტირი



შს საპინისტრო  
პოლიციელთა მასშტაბურ  
ტესტირებას ამარებს

33. 6



„ნაცმოდრობის“  
სპირიტუდი  
სუანსედი,  
საკაშვილის  
„მორბენადი  
ბიჭები“ და  
„ოცნების“  
კოხცაპრუნობა

რა პროპოკასიანს ამზადებს  
19 აპრილისთვის  
„ივანე ლიკვილატორი“

33. 4

### ლიტო გელოვანი

სავდ(ი)ანარკვი  
მერ(აბიუვილი)ის  
გადასარჩენად

ის, რაც სეგოლა წინა კვირადი

33. 2

მეორელი ვაჟა ოთარაშვილი  
20 „ნაციონალის“ დაუყოვნებლივ  
დაჭერას მოითხოვს?!

33. 7

საბჭოთა ანაბრები მხოლოდ  
ლიტვამ და ყაზახეთმა ანაზღაურა

რას უპირებს საქართველო დაზარალებულებს

33. 9

ცნობილი პედიატრი ავთანდილ  
კვიციანი-კოპაძე გავრვითა  
და მოზარდთა აღზრდის  
ეროვნული პროგრამის შექმნის  
ინიციაციით გაშროდის

33. 12

რეპერი გედინა  
პოლიტიკოს პინგვინებზე  
სიმღერას წერს

33. 15









# შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციელთა მასშტაბურ ტესტირებას ატარებს

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ლარი-ბაშვილი შსს-ს აკადემიაში გამართულ პოლიციელების ტესტირებას დაესწრო. მინისტრი ტესტირებაში მონაწილე პირებს გაესაუბრა და მიმდინარე პროცესი შეაფასა. ტესტირება, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ათი ათასამდე პოლიციელი მონაწილეობს, პირველად ტარდება.

მისი მიზანია, სამართალდამცველების პროფესიული უნარების შეფასება და მალაქვალ ფიციური კადრის გამოვლენა. ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შეფასების მქონე პირები შესაბამის გადამზადების კურსებს გაივლიან. ტესტირების პროცესში, სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების ექსპერტებთან ერთად, მოხდება პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების განსაზღვრა.

კითხვარები ტესტირებაში მონაწილე პირების პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე შედგენილი. თითოეულმა მონაწილემ 2 საათსა და 30 წუთში 100 კითხვას უნდა უპასუხოს. ტესტირებას გაივლიან როგორც მაღალი თანამდებობის პირები — სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, ასევე, უბნის ინსპექტორები, დეტექტივ-გამომძიებლები, დეტექტივ-თანაშემწეები, საპატრულო და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები; აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებს პოლიციის ყველა ის დანაყოფი, რომელიც ოპერატიულ ფუნქციას ასრულებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული შემადგენლობის ტესტირება ორი დღის განმავლობაში, საქართველოს ყველა რეგიონში გაგრძელდება.



## პოლიტიკა

# ირაკლი წერეთლის უღბიანობა ივანიშვილის ხელისუფლებას

მე-5 გვერდიდან

— სხვათა შორის, აპრილშივე, „ნაციონალების“ „პატრიოტთა აქცია“ გამართება. არ არსებობს საშიშროება, ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღას, ახალი დაპირისპირება და სისხლი მოჰყვას?

— „ნაციონალებმა“ აქცია ჩვენსას სპეციალურად დაამთხვეს, მაგრამ ჩატარება, შეიძლება, აღარც დასჭირდეთ. დაპირისპირება არ მოხდება — „ნაციონალები“ ხელისუფლებაში აღარ არიან, მათ ჩვენ არ დავუპირისპირდებით. ჩვენ აქციაზე სააკაშვილის მომხრეებსაც ვეძახით და ივანიშვილისასაც.

— მერე, სწორედ ვე არის საშიში — მთებრვალს ვნახეთ, როგორ შეიძლება მოიქცეს პოლიტიკოსებზე განწყობებული საზოგადოება.

— რა ვქნათ, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? ჩვენ ვინცებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ აჩვენა, რომ ეს აუცილებელია. უკან არ დავიხევთ, ჩვენ არ ავიღებთ ხელში იარაღს, ჩვენ ვუპირისპირდებით რუსეთს. ღონისძიება გვექნება 31 მარტსაც. 9 აპრილამდე კი, ალყას შემოვარტყამთ საქართველოს პარლამენტს, ოლიმპიურ კომიტეტს. საქართველომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში. მეტიც, როგორც დიდი ვისოცკის გარდაცვალების წელს გამოუცხადეს ამერიკამ და ნატო-ს ქვეყნებმა საბჭოთა ოლიმპიადას ბოიკოტი, მოვუწოდებთ, ასე მოიქცნენ ახლაც. უნდა ჩავუშვალოთ რუსეთს ეს ოლიმპიადა, ეს იქნება საქმე.


— ამის ბერკეტი როგორად არსებობს?

— ბერკეტი ჩვენი მოძრაობა და საელჩოებზე ზენოლა... უნდა განვსაზღვროთ, რა არის დღეს მნიშვნელოვანი. დღეს ყველა ლანძღავს სააკაშვილს, არადა, მთავარი პრობლემა დეოკუპაციაა. მიხეილ სააკაშვილი კი, ყველა იმ ადამიანის პრეზიდენტია, ვინც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. დიხს, ყველამ, ვინც აღიარა სააკაშვილის მიერ, ამ კონსტიტუციის პირობებში ჩატარებული პირველი ოქტომბრის არჩევნები, მივიდა და თუნდაც „ოცნებას“ მისცა ხმა, დაიკანონა ეს გაუპატორებული კონსტიტუცია და პრეზიდენტად — სააკაშვილი.

— თქვენ არ ყოფილხართ არჩევნებზე?

— ვიყავი, რომ ბიულეტენები არ გაეყალბებინათ. გადავხაზე ყველაფერი და ბიულეტენზე მივახერხე: „გაუმარჯოს 1921 წლის ლეგიტიმურ კონსტიტუციას!“ ასე რომ, ბოძინა ივანიშვილმა, მისმა თანამებრძოლებმა და მომხრეებმა, დაიკანონეს სააკაშვილი. „ოცნების“ წარმომადგენლებისთვის ახლა სააკაშვილი კანონიერი პრეზიდენტია. ისე, მათ ახლა „ქოცებს“ ეძახიან. მინდა, ჩვენ შორის აღარ იყოს „ნაცი“ და „ქოცი“. ქართველები, თავისუფალი საქართველოს სიყვარულმა უნდა გაგვეერთინოს. ამისთვის ვინცებთ ახალ მოძრაობას.

— ქუჩაში მილიონი ადამიანის გამოყვანით,



საელჩოებზე ალყის შემორტყმით და სააკაშვილი-ივანიშვილის „დამთავრებით“ იმუქრებით. რომ დაეჭირონ?

— თამადას ღვინით აშინებდნენო. დამიჭირონ, მერე?! საქართველოს დეოკუპაციისა და თავისუფლებისთვის ბრძოლისთვის თუ დამიჭირონ, ბედნიერი ვიქნები.

— და პოლიტპატიმარიც. ისე, ოფიციალურად გაქვთ ეს სტატუსი და, საერთოდ, რა შემთხვევაში უნდა მიუჩიოს ის ადამიანი?

— რეპრესირებულის სტატუსი მაქვს. პოლიტპატიმარი იმპერიის წლებში ვიყავი. გორბაჩოვამდეც და მერეც, როცა მერაბ კოსტავასთან, ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურასთან ერთად დამიჭირეს. მას შემდეგ არ დაუკავებია ვარ, შესაბამისად, პოლიტპატიმრის სტატუსზე პრეტენზია არასოდეს მქონია. პოლიტპატიმარი არის ადამიანი, ვისაც პოლიტიკური აქტიურობის გამო დააპატიმრებენ. სააკაშვილს, ან ივანიშვილს, ღმერთმა დამიფაროს, რომ ვესროლო, მაშინ ვიქნები დამნაშავე, ტერორისტი, მაგრამ პოლიტპატიმარიც. ვინც სააკაშვილის დროს პოლიტიკური აქტიურობისთვის, აქციებში მონაწილეობისთვის ანუ პოლიტიკური მოტივით დაიჭირეს, ყველა პოლიტიკური პატიმარია, მაგრამ ყველა არ არის სინდისის პატიმარი.

— ასე ხომ ძალიან ბევრი პოლიტპატიმარი გვეყოლება, რაც ქვეყნის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს...

— მერე, სწორედ ამიტომ უნდა შეწყდეს ეს პოლიტიკური დევნა.

ტელევიზიებს არ დამითმობს, მართლაც, ვიფიქრებ პოლიტიკური დევნილის სტატუსის მოთხოვნაზე.

— და ამას ვის მოსთხოვთ, ეკა ბესელიას?

— არა, არ მინდა ეკა ბესელია შევანუხო. საერთოდ, ამ პარლამენტის არაფერი მინდა. სანამ ეს პარლამენტი და ხელისუფლება რუსეთს მსოფლიო დონეზე აგრესორად არ გამოაცხადებს, მათგან არანაირ სიკეთეს არ ვღებულობ. არ მინდა, ანტიეროვნული ძალებისგან თავი დავივალდებულო. მივმართავ ამერიკის კონგრესს. რომელი უფრო პატივია — ამერიკის კონგრესი რომ მოგანიჭებს პოლიტიკური დევნილის სტატუსს თუ ეს უღლეური პარლამენტი?

— ისე, 150-კაციან პარლამენტში ერთი ადამიანი მაინც რატომ არ აღმოჩნდა, რომელიც იტყოდა, ვინმეს პოლიტპატიმრად და პოლიტდევნილად გამოცხადების მორალური უფლება მანამ არ გვექნება, სანამ ირაკლი წერეთლს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ აქვსო?

— რა თქმა უნდა, ამაზე უნდა ეფიქრათ, მაგრამ ესენი არიან უნამუსოები. ხელისუფლება დღეს მხოლოდ სააკაშვილისა და მისი მომხრეების დევნილთა დაკავებული, მაგრამ ისე ვერც დევნის, როგორც საქირა. ყველაფერი მხოლოდ ამისთვის კეთდება. პატიმრებს რომ აღარ აუპატიურებენ, კარგია, მაგრამ ეს არაა ეროვნული კეთილდღეობისა და ბედნიერების მაჩვენებელი. ისე, მაინტერესებს, ეს ახალი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებულ კანონებს რატომ არ აუქმებს? — მაგალითად, მიტინგებისა და დემონსტრაციების შესახებ? რა ხდება, კანონი, რომელიც მოქმედებს სააკაშვილის დროს, ცუდია და იგივე კანონი ივანიშვილის დროს, არ არის ცუდი? ადვილი მისახვედრია, რატომაც არ აუქმებენ, მაგრამ არ გამოუვათ — საქართველოში მიტინგის გამო დაჭერები შეწყდება! არავის დავაჭერინებთ. ვიცი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის უანგარო და თავდადებული ბრძოლა არ ჩაივლის გამარჯვების გარეშე. თუ ამქვეყნად ვერ მოვესწარი, როცა მოვეკედები, გმირების სასუფეველში ტრიუმფით შევალ იმ ცხოვრების გამო, რომლითაც ვიცხოვრე. ტრიუმფს ამქვეყნად გადავიხდი თუ მარადისობაში, დიდი განსხვავება არაა. იქ კიდევ უკეთესია. მთავარია, არ გავჩერდე, ყველაფერი გავაკეთო და სხვებიც დაეარწმუნონ, რომ სიტყვები — „ქართველობა“ და „თავისუფლება“ სინონიმებად ვაქციოთ. ვიცი, ასე ბევრი ფიქრობს.

— ისინიც, ვინც ხმა მისცა „ოცნებას“, რომლის პირობებშიც, როგორც ამტკიცებთ, საქართველოს თავისუფლებას საფრთხე კიდევ უფრო ემუქრება?

— დიხს, ისინიც, რადგან ქართველმა ხალხმა ხმა „ოცნებას“ კი არა მისცა, არამედ, მისცა ოცნებას სააკაშვილის დიქტატურის წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ ყველა დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიამ ჩაისვარა. მჯერა, ქართველი ერი, თავისუფლებას არასოდეს არაფერში გაცვლის!







პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკა

ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური კომისია უნდა შექმნას...

ლევან კალანდაძე ამბობს, რომ საქართველოსგან განსხვავებით, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ამ პრობლემის დარეგულირება დაიწყო...

პოსტსაბჭოთა სივრცეში საბჭოთა ანაბრები სრულად მხოლოდ ორმა ქვეყანამ — ლიტვამ და ყაზახეთმა დაფარა...

ლიტვა, ლაზვია, ისრაელი

ლევან კალანდაძის ინფორმაციით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე სამართლიანად ლიტვა მოიქცა — მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქვეყანა ლიტვის მოქალაქეების მიერაა შექმნილი...

მისი თქმით, პირველ ჯგუფში 80 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეები, გადასახლებულები, მათი ოჯახის წევრები და პოლიტიკატივრები შევიდნენ...

ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ ამ მხრივ ლატვიასა და ესტონეთში პარადოქსული სიტუაციაა, რადგან ამ ქვეყნებში წინდა მემარცხენე, რადიკალურ-ნაციონალური პოლიტიკა განახორციელეს...

ყაზახეთი

ლიტვის გარდა, მეორე ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა ანაბრების გასტუმრების პროცესი დაასრულა, ყაზახეთია...

„შესაძლოა, ვიკამათო, რამდენად ოპტიმალური და სამართლიანი მოდელი შეიმუშავა ყაზახეთმა საკომპენსაციო თანხების

მანია მიშელაძე 593-51-90-12

საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საბჭოთა ანაბრების დაკავშირებული პრობლემის მოგვარების სამართლებრივი გზა არ არსებობს...

საბჭოთა ანაბრები გსოლოდ ლიბვამ და ყაზახეთმა ანაზღაურა



როგორია პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, რა მეთოდით გადაუხადეს კომპენსაცია საბჭოთა მეანაბრებს და რას უპირებს საქართველო დაბრუნებულს

გასაცემად, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობამ ეს პროცესი დასრულებულად გამოაცხადა, — განუცხადა „ვერსიას“ ლევან კალანდაძემ...

ერტ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა ანაბრების თემაზე მუშაობა დაიწყო, უკრაინაა...

უკრაინა

ერტ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა ანაბრების თემაზე მუშაობა დაიწყო, უკრაინაა...

„ამის შემდეგ, უკრაინის მთავრობაში საბჭოთა ანაბრები რამდენიმე წლით „დავიწყეს“...

და კომპენსაცია დარჩენილმა 6 000 000-მა მოქალაქემ უნდა მიიღოს, რომლებმაც 2007-2008 წლებში ვერ მიიღეს...

სომხეთი

რაც შეეხება სომხეთს, ლევან კალანდაძის ინფორმაციით, სომხეთის მთავრობამ ამ პროცესს თავი 2015 წელს უნდა მოახსნა...

ბელარუსი

ლევან კალანდაძის თქმით, 1991 წლის მდგომარეობით, ბელარუსში, „სბერბანკის“ ანგარიშზე 16 მილიარდი საბჭოთა რუბლი იყო...

„ბელარუსში, ერთი პარადოქსული ტენდენცია შეინიშნება, ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის ყოველი ახალი ხელმძღვანელი,



ახალ თანამდებობაზე მუშაობას, საბჭოთა ანაბრების თემის გააქტიურებით იწყებს...

რუსეთი

რუსეთში ეს პროცესი 1996 წელს დაიწყო, ლევან კალანდაძის ინფორმაციით, ამჟამად ქვეყანაში ანაბრების მომსახურების შესაძლებლობა...

ლევან კალანდაძის თქმით, რუსეთი ყოველწლიურად ითვალისწინებს ბიუჯეტში კომპენსაციას...

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ერთ-ერთი კარგი მოდელია შემუშავებული, მაგრამ როგორც ლევან კალანდაძე მიიჩნევს, ეს მოდელი საკმაოდ ჩახლართულია...

თავდაპირველი მოდელით, 1 საბჭოთა რუბლი აზერბაიჯანში 0,50-დან 1 აშშ დოლარამდე იხდოდა...













ჩვენი მცირე ექსპედიცია, აზმანის შემდეგ, ძველი ოკამის გავლით, სამხრეთ ჯავახეთში, უფრო კონკრეტულად, ერთ დროს, თურქულად მონათლულ ჩილდირის ლივაში გადადის. ამ პროვინციიდან საქართველო დღეს მხოლოდ ტერიტორიის იმ ნაწილს ფლობს, რომელიც, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, კარნახის ტბით მთავრდება.

# ქვათა მაციანე — სხვა ხალხის



ხვეთის სტელეები სახელმწიფო საზღვართან

# ისმის აქ ჟრიაბული

## სამხრეთ ჯავახეთი

### გელა ქოქიაშვილი


მანქანა მობიბინე ბალახში, ფარჩა-ატლასე-ბივით აფერადებულ ველზე მიცურავს. აქა-იქ სოსანისფერი და ვარდისფერი ყვავილების ტბა გვხვდება, აქა-იქ დაგვიანებული ყაყაჩო და ნაადრევი ნარშაფი ანთია.

მარიამობის თვეა... ხვეთში მოსახვედრად შემოვლითი გზა რომ აგვერჩია, ალბათ ის აჯობებდა — არც დიდ დროს დაეკარგავდით და არც მხარი გვექცეოდა. ბედად, ერთი მთიბაგი შეგვხვდა. რა თქმა უნდა, სომეხია, მაგრამ, ასე თუ ისე, რუსული ესმის. იგი შორს მდგარ ჯუჯა ხეზე მიგვიანიშნებს და გვიჩვენებს, ორიენტირად ეს მიმართულება ავირჩიოთ...

მთიბაგთან დამშვიდობებას ვაპირებთ, მაგრამ, ნურას უკაცრავად — თავი ამ მხარის ბატონ-პატრონად მიაჩნია და მის დაუკითხავად ჩიტმაც ვერ უნდა გადაიფრინოს. შუასაუკუნეების პოზა მიუღია, ცალი ხელით დოინჯი შემოუყრია, მეორეში ცელი უპყრია და ეჭვიანი გამოხედვით გემჭვალავს, აინტერესებს, ვინ ვართ, რა მიზნით და ვინ მოგვცა აქ მოგზაურობის უფლება. ერთხანს ვფიქრობ, იქნებ, კარგიცაა, რომ ინერციით საბჭოთა ეპოქიდან გამოყოლილი მესაზღვრის ფუნქცია უტვირთია, მაგრამ მერე სხვა რამეს ვამჩნევ — მას იმის თქმა სურს და პირდაპირ ვერ გაუშვებია, რომ ემანდ, ეს მინა ჩვენი სამშობლო არ გვეკონოს. ნავიდა ის დრო, როცა ეს ქვეყანა შენ გეუთვნოდაო, — მეუბნება მისი მზერა. 180 წლის წინათ აქ მოსული კაცის შთამომავლის „ჭკუაზე მოყვანა“ არ მიჭირს და მალე იძულებული ხდება, გალიმებულმა ოქროს კბილი გამოაჩინოს, მაგრამ რამდენს და როგორ უნდა ნაუკითხო „ლექცია“.

... გავიარეთ და გავცდით პატარა ტბებს. გამოჩნდა სოფელი ხვეთი. ცენტრში თეთრად შეღებილი გამგობის შენობა და ორი-სამი ვერხვის ხე დგას. გასაკვირად, სოფელი ამწვანებულია — ჩანს, წყალი აქვთ. სოფლიდან დასავლეთით მიმავალ გზას მივყვებით და იქ, სადაც საქართველო-თურქეთის საზღვრის პირველი მავთულხლართი გადის, შემაღლებულ ადგილზე, შორიდანვე ვამჩნევთ ორ ვეება ლოდს.

ახლოს მისულნი ვრწმუნდებით, რომ მისამართი არ შეგვძლია. ეს სწორედ ის სტელეებია, რომლებსაც ვეძებდით. პირველი სტელის ქვედა ნაწილში უცნაურ პოზაში მყოფი ადამიანია გამოსახული, ზეით — ორმაგ წრეში ჩამჯდარი ჯვარი. კიდევ უფრო საგულისხმო და დიდია მეორე სტელა. ეს არის ერთ ბრტყელ ლოდზე შემოდგმული მეორე, კუბის ფორმის ლოდი. თავის მხრივ, ამ ლოდზე შემოდგმულია მესამე, მცირე ქვა, ხოლო მესამეზე — კიდევ უფრო პატარა, მომრგვალებული ქვა. სანთლისგან გაჭვარტლული კუბური ლოდის ერთ ნახნაგზე ბოლნური ჯვარია გამოსახული, მეორე ნახნაგზე გაჭირვებით განიჩქევა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი „სახელითა მამისა და...“



სულდის ქვედა ეკლესია და მის კედლებში ჩაშენებული ჯვრები


XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი საეკლესიო საბუთით დგინდება, რომ სოფელი ხვეთი არა კუმურდოელი, არამედ წყაროსთაველი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. ქვაჯვრები თუ უფრო ადრინდელი არა, X საუკუნისა მაინც უნდა იყოს. ადრე აქ ეკლესია მდგარა. ხვეთიდან ბილიკებით მტკვრის ხეობაში ჩასვლა და ოლოდის ქვაბების ნახვა შეიძლება, მაგრამ ჩვენ სხვა მარშრუტი გვაქვს. ხვეთიდან აღმოსავლეთით გამოვბრუნდით და პატარა მდინარეს კობალისწყალს აღმა აუყუყვით. ნახევარ საათში სოფელ სულდაში შევედით.

მოსახლეობა სულდაშიც, რა თქმა უნდა, მთლიანად სომეხურია. დიდ, მაგრამ მაინც მიყრუებულ სოფელში გადამდები ტექნიკის გამოჩენა ახალგაზრდების დანტერესებას იწვევს

და იმ იმედით, რომ „კინოში გამოჩნდებიან“, მეგზურობაზე არ გვზარდებიან. თავდაპირველად სოფლის ცენტრში არსებული მოზრდილი ეკლესიისკენ მიგვიძღვიან. ფლეთილი ქვის ირეგულარული წყობით აგებული ეს საყდარი XIX საუკუნისაა. ბოქლომდადებული, აფრაკი კარის ღრიჭობში ვიჭყიტები და საგნებს ნელ-ნელა ვარჩევ: საკმაოდ განიერი დარბაზი ხის წყვილ-წყვილი სვეტით, თითქოს, ნავებად დაუყვიათ, თუმცა სინამდვილეში, მოხელტილი სახურავის შემკაავებლად უფროა გათვალისწინებული. იატაკი ხისაა. აღმოსავლეთ კედელთან დასვენებული ხატები რომ არა, ნაგებობას ეკლესიისა არაფერი ეტყობა არც შიგნიდან და არც გარედან — ასეთია პირველი შთაბეჭდილება, სანამ ფასადებს გულდასმით არ დაათვალიერებთ: დასავლეთის კედლის წყობა, რომელშიც ნაგებობის ერთადერთი კარია, XIX საუკუნეზე გაცილებით ადრინდელია. კარის თავსართადაც ძველი, ჯვრის ქვედა ნაწილიც გამოყენებული. აღმოსავლეთის კედელი ნამდვილად XIX საუკუნისაა, მაგრამ მასში გვერდივედრად სამი ბრუტალური, ძველი ჯვარია ჩაშენებული. მარცხენა ჯვრის ჰორიზონტალურ ფრთებზე ასომთავრულით წერია: „წმინდა გიორგი, შინაყალე ახალციხელი.“ უფრო ვრცელია შუათანა ჯვრის წარწერა: „სახელითა ღვთისმშობლისათა ჯვარი აემართა. მე თვედორემ მოგახსენე შვილთა ჩემთა მიქაელ...“ ორივე წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII-XIII საუკუნეებზე მიგვიანიშნებს და იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადგილზე ღვთისმშობლის ეკლესია მდგარა. ეს იმიტომ, რომ წმინდა გიორგის ეკლესია სოფლის თავში, მალაღბორცხეზე ახლაც დგას და მარცხენა ბრუტალური ჯვარი იქიდან ჩამოტანილს ჰგავს. სოფლის ცენტრიდან სწორედ ამ ეკლესიასთან ავდივართ. სულდის წმ. გიორგი დიდი ღვთისმშობლის ლოდებითაა აგებული. (ამავე ფერისაა ქვედა ეკლესიის კედელში ჩადგმული მარცხენა ბრუტალური ჯვარიც). საყდარი, რომელსაც, კამარასთან ერთად, ლავგარდანიც მორღვეული აქვს, შიფერით გადაუხურავთ. არის სხვა გადაკეთების ნიშნებიც, მაგრამ ნაგებობა რომ X საუკუნისაა, ეს აშკარაა. აქვე, ჩრდ-დასავლეთ კუთხესთან, აღმართულია ისეთი უშველებელი ქვის ჯვარი, რომლის ბადალი აქამდე არსად შემხვედრია. როგორც ითქვა, ქვეით ნახსი წმინდა გიორგის ჯვარიც ამ ეკლესიიდან უნდა იყოს ჩატანილი. რაკი იგი XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება და წარწერაში ვინმე ახალციხელია მოხსენიებული, მკვლევარებს ერთი საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდათ: ხომ არ არის ეს ახალციხელი შალვას ძმა ივანე? საქმე ის არის, რომ თავად შალვა ლაპიდარულ წარწერებში ან მარტო სახელით მოხსენიება ან სახელით და ერისთავთ-ერისთავის ტიტულით. რაკი მის უმცროს ძმას ივანეს ასეთი დიდი თანამდებობა არ ეკავა, უფრო მარტივ ტიტულ „ახალციხელში“ სწორედ იგი იგულისხმება.

სულდაში ორი ძველი ეკლესიის არსებობა იმას გვეუბნება, რომ იგი ოდესღაც დიდი სოფელი ყოფილა, ხოლო მისი მკვიდრი ქართული მოსახლეობა სადაცაა გაფანტულა. სოფლის თემშარზე გამოფენილი ბატების ყაყანში სულდის საზღვრებს ვტოვებთ და კარნახის (იგივე ხოზაფინის) ტბისკენ მივმუშურებთ. გზა ნელ-ნელა მაღლა იწვევს და სოფელ დიდი კარნახიდან უკვე თვალნათლივ ვხედავთ ცისფრად მოლივლივ წყალს, რომლის დონე თანდათან კლებულობს. ტბის ნახევარი თურქეთს ეკუთვნის და ჩემი ფიქრიც იქითაა მიმართული. გორგასლის ერთ-ერთმა ვაჟმა მირდატმა რომ საეპარქიო ცენტრი ააშენა წყაროსთაში, ამ ტბიდან დასავლეთითაა. კარნახიდან ტბის ნაპირ-ნაპირ გზა სწორედ წყაროსთავისკენ მიემართება, მაგრამ ჩვენ იქ არავინ მიგვიშვებს, ამიტომ მცირე ხნით სოფელ დიდი კარნახის ცენტრში ვჩერდებით და 1894 წელს აგებულ სომხურ ეკლესიას ვათვალიერებთ. ჩვენს ყურადღებას აღმოსავლეთ ფასადზე საკურთხევიდან გამომავალი მცირე სარკმელი იპყრობს. იგი ეკლესიის კედელში ჩაშენებული ორი დამდნარი რელიეფის შუაგულშია გამოჭრილი. როგორც ხელოვნებათმცოდნეები დაასკვნან, ეს რელიეფი X საუკუნის ქართული პლასტიკური ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში იყო. გამადიდებელით თუ დავაკვირდებით, ეს არის ცეცხლოვანი ბორბალი და სამწერლობით მომარჯვებული ანგელოზების გამოსახულება.

### ავტორის ფოტოები



სულდის „წმინდა გიორგი“ და მისი ვეება ქვაჯვარი







# ჰოროსკოპი 25 თებერვალი

**ვერი** — თქვენი ზისური დღეა. არასასურველი ზერიდან სასიხარულოდ, ცვლილებებისთვის, მოკვლევებისთვის, არ არის სასურველი, ასევე, ნაქარველი განწყობების მიღება, სჯობს, ცოტა დაიცადოთ. დღეისთვის ბეჭეტიან ერთად სუფთა ჰაერზე გასიარება, თხილამურებით სრავლი დაგეგმო. საღამო კი ერთგული შეგობების წრეში გაატარეთ. დღის შუაზე ნახევარში ცუდი განწყობა გამოგვიკეთდებოთ, თქვენს სხლში კვლავ სიყვარული და სიმშვიდე დაისადგურებს.

**კურო** — დღე ცხოვრებისეული იდელების და პრინციპების დაცვას უკავშირდება. მოულოდნელი წარმატება გელოთ, სასიკეთო სიტუაცია ფინანსური სფეროს გასაუმჯობესებლად. დღეს დიდხარებას და გულუხვობას უნდა გამოავლინოთ. შედარებით მეტი დრო დაუთმოთ თქვენს პარტნიორს, რადგან უკურადლებობა და ცივი დამოკიდებულება მომწიფებულ კონფლიქტს უკიდურესობამდე მიიყვანს.

**ტყუპები** — სავარაუდოდ სიყვარულად აღმართან ან ნათესავთან დაკავშირებული პრობლემები, საჭე სკანდალად დღე მთავ, ამიტომ ვიდრე რამეს მოამოქმედებთ, ჯერ შესაძლო შედეგებზე დაფიქრდით. თქვენში უთანხმოებამ შესაძლოა, სრულად აშლილობამდე მიიყვანოს. სწორედ ამ დროს დაგჭირდებათ კონფლიქტების მოგვარების განსაკუთრებული უნარი.

**კირჩხიბი** — დამბული დღე გაქვთ. ამ ნიშნის წარმომადგენელ მამაკაცებს სკანდალი ან დიდი ხნის შეგობარ ქალთან ურთიერთობის გაწყვეტა ელოთ. არ არის გამორიცხული ტრავმა და გულის შეტევა. წარმატებული დღე კარჩხიბი-ქალბისთვის. ვარსკვლავები მთი მოულოდნელ სიხარულს უქადას სასიყვარულო ურთიერთობებში. გამედაზას და მომხიბლელობა წარმატებას აუცილებლად მიიყვანს.

**ლომი** — დღეს უკურადლებით იყავით, ნუ მიადებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სჯობს, დაიცადოთ. ვიდრე ასევე ცდილობს თქვენი ანერჯიულებას. თავი აარიდეთ ათსკვარ ჭორს და კონფლიქტური სიტუაციის განხილვის სუდანსაშუალო ადამიანს ნუ გაეცხვით.

**ქალწული** — დღის პირველი ნახევარი უსამართლოდ აღინიშნება. შესაძლოა კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მითითებულ უნდა იქნება და მთელი უკურადლება სიმუშაოზე გადაიტანოთ. შუაღამოს ნახევარში შესაძლოა, მოულოდნელი წარმატება გელოთ. თუ ეს მოხდება, შეეცადეთ გამოიყენოთ მომენტო საკუთარი მდგომარეობის განსამტკიცებლად, თუქვე სხვების მხარდაჭერას და დანაშაულებს იძლევათ.

**სასწორი** — სასწორებისთვის საშუალო დღეა. სავარაუდოდ მტანჯული თავისუფალი, მოწამლა, სხნარი, ასევე მსხვილი ფინანსური დანაკარგი. სამსახურში უსამართლოდ თავი რომ აარიდოთ, არავის განდობთ თქვენი გეგმები ან პრობლემები. ეცადეთ, ნაკლები გულად სიყვარული გქონდეთ აღმართან. უკურადლება დაუთმოთ თქვენს წევრებს, ნუ იმხუბებით წვრილმხარებზე — თქვენი დიდხარება და მოთმინება სიმშვილეს შეანარჩუნებს თქვენს.

**ღრიანკალი** — თავიდან ჩაფიქრებული რომანტიკული ურთიერთობა მამაკაცებს გაეცხვება და სიყვარულის ქულში გახვევს, თუქვე ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ ძალიან მალე, ეს აღფრთხილება სასტიკი ეჭვანობით შეიცვლება. კამათი და ორმხრივი წყენ ურთიერთობის საბოლოოდ დასრულებლად მიიყვანს.


**მშვილდოსანი** — დღეს რეალიზებულმა რამე პროექტში, შესაძლოა, სიყვარულთან შეეცადოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ გეგმიდან დახრებას ნუ დაელოდებით, შილოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. საღამო კი, სჯობს, დასვენებით და უარი თქვით ვიზიტებზე ან სტუმრების მიღებაზე.

**თხის რქა** — დღეს, შესაძლოა, უსამართლო თავგანსაკავალი გადაცხვით, რამე კატასტროფაში მოექცეთ ან ავად განდეთ. თუ მანქანის მართვა, უკურადლებით იყავით ცხსზე. სავარაუდოდ ახლომდე აღმართან დაკავშირებული პრობლემები, შილოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, დაშორებით ერთმანეთს თუ გაატარებთ ურთიერთობას.

**მერწყული** — შესაძლოა, ინტერესი გაეცხვადოთ მისტიციანობა, ფილოსოფიას და კლასიკური ლიტერატურისადმი. შესანიშნავი დღე შემოქმედებისთვის. ნუ გაუშვებთ ინიციატივას სედიდან. ახლომდებთან კი დახმარების იმედი ნუ გქვებთ — ეგვალფერო საკუთარი სული გააკეთოთ.

**თევზები** — თქვენი სასიცოცხლო ზოტეცხვადი დაბად დღისაა. არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი და ორმხრივი წყენ ურთიერთობის გაწყვეტამდე მიიყვანს. დღეს ასევე დიდა აღბათობა, რომ ფარტუნს თქვენს მხარეს არ იქნება.

## მანქანას გატაცებისგან სკანერი დაიცავს



დაივიწყეთ ავტომობილის სიგნალიზაცია და სხვა ძველმოდური მეთოდი, თქვენი მანქანა რომ გატაცებისგან დაიცვათ, ამომავალი მზის ქვეყნის სპეციალისტებმა ახალი მეთოდი მოიფიქრეს — საჯდომის სკანერი. იაპონიის სამრეწველო ტექნოლოგიების ინსტიტუტის სწავლულთა მანქანის სავარძელი შექმნეს, რომელიც მძღოლის საჯდომის სკანირებას ახდენს და ამის მიხედვით განსაზღვრავს, ვინ მიუჯდა ავტოს — მისი მფლობელი თუ უცხო ადამიანი. მხოლოდ ამის შემდეგ იქონება მანქანა. შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სიახლის ავტორები აცხადებენ, რომ მეთოდი არაფრით განსხვავდება თითის ანაბეჭდების ან თვალის გუგის სკანირებისგან და უხერხული აქ არაფერია. მძღოლებს საამისოდ მარჯობს გახვად სულაც არ სჭირდებათ — სკანერი ტანსაცმლის ზევიდანაც შესანიშნავად მუშაობს.

# უჩვეულო სარეჟისო ჰოლივუდიდან



ინდონეზიის მცხოვრები, 30 წლის მანდილოსანი, სახელად იუსტინი უჩვეულო სარეჟისოს მფლობელი გახდა. მას ჰოლივუდის ვიზუალური ეფექტების ოსტატმა ალექ გილისმა ცხვირის პროთეზის პროტოტიპი უსახსოვრა. სამი წლის წინ, ჩხუბის დროს, იუსტინისი საკუთარმა მეუღლემ დაასახიჩრა. მას შემდეგ, უბედური ინდონეზიელი ქალი იძულებული იყო, გარემომოყოფთა დაცინვა აეტანა, გარეთ კი მხოლოდ სახედავარული გადიოდა. ქალის სამუშაო ისტორიამ ამერიკულ საქველმოქმედო ფონდის Grossman Burn Foundation მეთაურად — რებეკა გროსმანად მიიღნა, რომელმაც მისი დახმარება გადამწყვიტა. ქალმა ჰოლივუდში გილისი მოძებნა, რომელიც დახმარებას მამინე დათანხმდა მიუხედავად იმისა, რომ იუსტინისი არც კი ენახა. ქალის რამდენიმე ფოტოს მიხედვით ალექმა პროთეზის რამდენიმე ვარიანტი დაამზადა, რომლებიც მხოლოდ კანის შეფერილობით განსხვავდებოდა. ხელოვნური ცხვირი, უშუალოდ, სახეზე ენებება, ასევე მაგნიტით მაგრდება სათვალის ჩარჩოზე. ბედნიერმა იუსტინისმა თვალცრემლიანმა მიიღო სარეჟისო ჰოლივუდიდან.

ბრიტანელი მეცნიერები არ იღლებიან ათასგვარი გამოკვლევებით, ამჯერად მათ დამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენა ადამიანის სისხლს აუმჯობესებს და მთლიანობაში, დადებით ზეგავლენას ახდენს სისხლძარღვთა სისტემაზე. ექსპერიმენტი — სასწავლოები 36 წლამდე ასაკის ასობით ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ, როცა ისინი საყვარელ მუსიკას ისმენდნენ, მათი ნინამზრის სისხლძარღვები თითქმის 26%-ით ფართოვდებოდა. სისხლში კი აზოტის ჟანგის კონცენტრაცია მატულობდა. სწორედ ეს თანაფარდობა, — მეცნიერთა მტკიცებით, — აფერხებს სისხლში თრომბის წარმოქმნის პროცესს. გასაკვირი არაა, რომ თავად სისხლზე მუსიკის გავლენის პროცესი ულ რამდენიმე წამს გრძელდება, თუმცა საყვარელი ჰანგებით გამოწვეული დადებითი ემოცია საკმაოდ ხანგრძლივია.

## საყვარელი მუსიკა სისხლს აუმჯობესებს



ბრიტანელი მეცნიერები არ იღლებიან ათასგვარი გამოკვლევებით, ამჯერად მათ დამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენა ადამიანის სისხლს აუმჯობესებს და მთლიანობაში, დადებით ზეგავლენას ახდენს სისხლძარღვთა სისტემაზე. ექსპერიმენტი — სასწავლოები 36 წლამდე ასაკის ასობით ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ, როცა ისინი საყვარელ მუსიკას ისმენდნენ, მათი ნინამზრის სისხლძარღვები თითქმის 26%-ით ფართოვდებოდა. სისხლში კი აზოტის ჟანგის კონცენტრაცია მატულობდა. სწორედ ეს თანაფარდობა, — მეცნიერთა მტკიცებით, — აფერხებს სისხლში თრომბის წარმოქმნის პროცესს. გასაკვირი არაა, რომ თავად სისხლზე მუსიკის გავლენის პროცესი ულ რამდენიმე წამს გრძელდება, თუმცა საყვარელი ჰანგებით გამოწვეული დადებითი ემოცია საკმაოდ ხანგრძლივია.

## ტორტი 50 მილიონად



სადღესასწაულო სუფრის მთავარ მშვენივალ ლამაზად გაფორმებული და გემრიელი ტორტი მიიჩნევა, ხოლო თუ ეს ტკბილეული ძვირფასი ქვებითაც იქნება მორთულ-მოკაზმული, დღესასწაული დაუვიწყარ მოუდ იქცევა და უამრავი ადამიანის ყურადღებასაც მიიპყრობს. ინგლისის ქალაქ ჩესტერში, საკონდიტრო სახლის CAKE Chester მცხოვრებებმა და საიუველირო სახლის Russell & Case Jewellers იუველირებმა ტორტი დაამზადეს, რომელიც 50 მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასი ქვებითაა მორთული. ეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტორტი, რომელმაც 35-ათასდოლარიან ეგზოტიკურ ღვეზელსა და 315-ათასიან საქონილო ტორტს აჯობა. ექვსსართულიანი ტორტი სიმალეში მეტრნახევარია და 2 ათასი ალმასითაა დამშვენივლი. მათი საერთო წონა 2 046 კარატს აღწევს. ეს მდიდრული ტორტი გამოფენის National Gay Wedding Show ორგანიზატორებმა შეუკვეთეს, რომელიც მომავალი თვის დასაწყისში ლივერპულში უნდა გაიმართოს.

## სექსუალური ძალადობისთვის პენსიონერი დააკავეს



იტალიის სამხრეთით პატარა ქალაქ სან-სევეროში 93 წლის მამაკაცი სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. მასზე სარჩელი 73 წლის ქალბატონმა შეიტანა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, სან-სევეროში მცხოვრები პენსიონერი ქალბატონის გაუპატიურებას შეეცადა, რომელიც მოხუცთა თავშესაფარში გაიცნო. პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, თავდაპირველად, მამაკაცი ხანშიშესული ქალისადმი გადამეტებულ ყურადღებას იჩენდა. ქალი მას არ პასუხობდა, რაც კაცის ინტერესსა და ვნებას უფრო აღვივებდა. შეყვარებული პენსიონერი მოხუცებულთა ცენტრის მოფარებულ კუთხეში დაიშალა და როცა მისი გულისსწორი გამოვიდა, თავს დაესხა. შემინებულ ქვრივ ქალბატონს, ლამის, ინფარტი დაემართა. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, მან მამაკაცს აჯობა და თავი დაიხსნა, შემდეგ კი პოლიციაში სარჩელი შეიტანა. სამართალდამცავებმა 93 წლის პენსიონერს სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს და თუ მსგავსი რამ კვლავ განმეორდება, ხანშიშესულ „რომეოს“ პატიმრობა ან სოლიდური ფულადი ჯარიმა ელის.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

				7			9
6	7			4			1
			6	3			7
1			4	2			8
		5				9	
	8			6	5		2
4				5	6		
3			8				5 4
2			9				

			7	2			
2		5	6				7
8				3			2
						4	2
	3		4		8		1
9	1						
	6		9				3
7				4	5		1
				1	6		

				6			5
	3		2			4	8
				4	3		7
		1	4				2
		9		3		5	
5					6	1	
	2		3	7			
	7	4			8		5
9				1			

7	9				2		
		8		6			5
		6			8		4
3					1		
	8	4				1	6
			9				2
	5		3			8	
	4			7		5	
			8				9 7




ვარცხნილობას სახელმწიფო აკონტროლებს

ჩრდილოეთ კორეაში მოქალაქეების თმის ვარცხნილობასაც კი მთავრობა აკონტროლებს და ამიტომ აქ ვერ ნახავთ მშვენიერი სქესის წარმომადგენელს ჯენიფერ ჯენიფერის ვარცხნილობით. კორეულ ქალბატონებს მხოლოდ 18 სტილის ვარცხნილობის ტარების უფლება აქვთ და ყველა ხელისუფლების მიერაა „შემონუმებული და მონონეზული“. ფოტოსურათი, რომელზეც ეს ვარცხნილობებია გამოსახული, ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანში მდებარე სილამაზის ყველა სალონის ფასადს ამშვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავებული იმიჯით აქ თავს ვერ მოიწონებთ, რადგან არც ერთი სტილისტი თმას სხვაგვარად არ შეგჭრით ან დაგვარცხნით. აღსანიშნავია, რომ კორეული მანდილოსნები ტანსაცმლის შექმნის დროსაც გარკვეული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ამასთან გათხოვილ და გასათხოვარ ქალებს სწორედ თმის ვარცხნილობის მიხედვით არჩევენ. დაოჯახებულები, ძირითადად, თმას მაღლა ინევენ ან მოკლე ვარცხნილობას ირჩევენ. გასათხოვარი ახალგაზრდები კი, ამ მხრივ, უფრო „თავისუფლები“ არიან.



საქალი სპრინჯის წინააღმდეგ

ბიოტექნოლოგიური კომპანიის სწავლულმა უნიკალური პრეპარატი შექმნეს, რომელიც პაციენტებს ხვრინვისგან იხსნის. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ პილილობის სიმპტომების სისხშირე ერთი აბის მიღებითაც კი შემცირდება. როგორც ცნობილია, ადამიანი ამ უსიამოვნო ხმებს იმის გამო გამოსცემს, რომ ზედა სასუნთქი გზები ვინროვდება კუნთების ბუნებრივი მოდუნების გამო, რაც სუნთქვას აძნელებს და სისხლში ჟანგბადს ამცირებს. ახალი პრეპარატი, კოდური სახელწოდებით C20-0166, თავისი არსით ორი, ადრე შექმნილი წამლის სინთეზია. მისი მოქმედების პრინციპი ასეთია: პრეპარატი თავის ტვინის გარკვეულ ცენტრებში ცვლის სიგნალის გადაცემას, რომელიც მუსკულატურისა და სასუნთქი გზების ტონუსზე პასუხისმგებელია. ექსპერიმენტი 39 პაციენტზე ჩატარდა. მოხალისეებს, რომელთაც პრეპარატის დიდ დოზას აძლევდნენ, ხვრინვის სიმპტომები, საშუალოდ, 40%-ით შემცირდა.



ქათამს პროთეზი გაუკეთეს

დიდ ბრიტანეთში შინაურ ფრინველს, სახელად ამელიას, ფრთის ნაწილის პროთეზი გაუკეთეს. ოპერაცია ვეტერინარულ ცენტრში ჩატარდა. პროთეზი ამელიას მას შემდეგ დასჭირდა, რაც გასული წლის ბოლოს ფრთა მოიტეხა. მისმა პატრონმა, 51 წლის სიუ მერფიმ საყვარელი ფრინველის შველა გადანყვიტა და დახმარებისთვის სპეციალისტებს მიმართა. იგივეს გავაკეთებდი კატის ან ძაღლისთვისაც. ბევრს ჰგონია, რომ შველია, მაგრამ ამელია შინაური ფრინველია, — ამბობს ქალბატონი მერფი. ქათამს პროთეზი ორ საათში დაუმზადეს და ამ ხელოვნურ ფრთას მისთვის უხერხულობა არ შეუქმნია, ეს პროცედურა კი ამელიას პატრონს 600 გირვანქა სტერლინგი (700 ევროზე მეტი) დაუჯდა.

მიმხიბვლელ ქალს ემძლი სულში ყნდა ჰქონდეს

ავსტრალიელი ანთროპოლოგები და ჰონგკონგელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, ქალური მომხიბვლელობის სათავე მანდილოსნების სიმაღლე და გრძელი ხელებია. საინტერესოა, რომ ყველაზე ხშირად, სუსტი სქესის წარმომადგენელთა მიმხიბვლელობის უპირველეს ობიექტად მკერდი და თეძო მიიჩნევა. ამავე დროს, საერთო მომხიბვლელობის შეფასებისას სხეულის პროპორციულ ნაწილებს აღნიშნავენ. აქ კი მთავარ როლს სწორედ საკმაო სიმაღლე და გრძელი ხელები ასრულებს. მკვლევარებმა ექსპერიმენტისას 100 ჩინელი ქალის ფოტო გამოიყენეს. ისინი ამდენივე ავსტრალიელ და ჰონგკონგელ მამაკაცს დაურიგეს, მათ ყოველი მანდილოსნისთვის შესაფერისი ქულა უნდა მიეჩინებინათ, ფოტოს ნახვა კი მხოლოდ 5 წამის განმავლობაში შეიძლებოდა. შედეგად, აღმოჩნდა, რომ არც თეძოებისა და არც მკერდის ზომას გავლენა არ მოუხდენია ქალების შეფასებაზე. მამაკაცების მიერ არჩეული ყველა მომხიბვლელ ქალს გრძელი ხელები აღმოაჩნდა.



წარსული ახალგაზრდობის ამ გზით შენარჩუნების არ სჯერა. სწავლულმა გამოკვლევები ჩაატარეს და გამოავლინეს, რომ კანის უჯრედები შეიცავს შაქარს, ცილას და ასევე უფრო რთულ სტრუქტურას, რომელსაც გლიკანები უწოდებს. სწორედ ის ასრულებს მთავარ როლს სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისას. გერმანელი მეცნიერების თქმით, გლიკანებზე დამოკიდებული, კანი კარგ მდგომარეობაშია თუ არა. ის არის პასუხისმგებელი ნაოჭების გაჩენაზეც. ამიტომ მკვლევარები ფიქრობენ, რომ ამ ნაერთის დონე ხელოვნურად უნდა აიწიოს, რათა კანმა თავად შეძლოს გაახალგაზრდავება.

შაქარი – კანის დაბერების წინააღმდეგ

ყოველ ჯერზე, როცა ლაპარაკია კანის მოვლაზე, ახალ-ახალი ინგრედიენტები გამოჩნდება ხოლმე, რომელიც დაბერების წინააღმდეგ რევოლუციურ მიდგომას გვპირდება, თუმცა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს ასეთ ინოვაციებს და მოვლაზე, ახალ-ახალი ინგრედიენტები გამოჩნდება ხოლმე, რომელიც დაბერების წინააღმდეგ რევოლუციურ მიდგომას გვპირდება, თუმცა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს ასეთ ინოვაციებს და



# ჰოროსკოპი 26 თებერვალი

- ვერი** — დღეს ერთბაშად რამდენიმე საქმის კეთება მოგიწევთ. შეეცადეთ, დრო ტყუილად არ გაფლანკოთ და ურთოდებს მაქციათ შემოსულ ინფორმაციას. ეს დღე რომანტიკული განწყობისკენ გაბიძგებთ, სადმის სავარაუდოდ დროის სასამართლოდ გატარება და პარმონიული ურთიერთობები სვეტრულად ადამიანთან.
- კურო** — დღე კურობისთვის, შესაძლოა, წინასწარმეტყველებით სასუქ ადამიანდღეს. ერთი მხრივ, საკმაოდ აქტიური იქნებით და შედეგების მიღწევას დაიბრუნებთ, მაგრამ, მეორე მხრივ, შემოთავაზებული წინასწარმეტყველება, შესაძლოა, არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც წარმოგიადგინებ.
- ტყუპები** — დღეს წარმეტყველებს მაღალეტიროვანი როგორც სამსახურში, ისე საქმიანობის სხვა სფეროებშიც. საკუთარი პოტენციალი აქ გამოიყენეთ, სადაც თქვენს ნამდვილად უსიამოვნო და თქვენს იდეებს იწინააღმდეგებენ. მხოლოდ ნუ ჩამოაბრუნებთ დაზარებულს, რისი შესრულების საშუალებაც არ გაქვთ.
- კირჩხიბი** — დღეს თავი უამრავად ახალი იდეა და ნოვატორული აზრი მოგადით, თუმცა ამდღეული განწყობა შეიძლება, იმან გააფრთხილოთ, რომ ხელმძღვანელობა არ აფასებს დარწმუნებულ თქვენს მუშაობას. ნუ მიიღებთ ამას სერიოზულად და გაითვალისწინეთ უფრო გამოცდილი კოლეგების მოსაზრება.
- ლომი** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს მთების გადაკარგვას შეიძლება, თუკი ეს დასჭირდებათ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სიმტკიცეს და მისწრაფებებს გამოიხატებთ. მოლაპარაკებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერა მალე დაიწყეთ ჩაიღებთ. შესაძლოა, დღე მარტოაღწევის დამატებისთვის საკმაოდ იმედისმომცემი აღმოჩნდეს.
- ქალწული** — დღეს უსამართლოდ არ გელოდებთ და ახივებთ, თანამედროვე დღე იმე, როგორც კუროს. შეეცადეთ, ის საკითხები მოაგვაროთ, რაც ადრე გადადეთ. მიღებული შედეგებით საკმაოდ კმაყოფილი დასრულებთ.
- სასწორი** — დღეს მოგიწევთ, დიდი ძალისხმევით დასაჯოთ წინასწარმეტყველების გადასწავლა, მაგრამ წარმეტყველებს არ დაუყოვნებთ. თუ გაქვთ აზრებულად იდეები, სწორედ ახლა დადგა მომენტია მათი განხორციელებისთვის. დღეს შესაძლოა აქტიური ურთიერთობა, ინფორმაციის გაცვლა და მწკვივე დისკუსიები.
- ღრიანკალი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ რთული იქნება, სვეტრული ადამიანი უამრავ საზრუნავს გაგიჩინებთ. მაგრამ ნუ მიიღებთ გულთან ახლოს მის გამოსტუმრებას, რადგან ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. დღეს თავი აარიდეთ ახალ ნაცნობობას — ის წარმეტყველებს და მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდება.
- მშვილდოსანი** — დღე სწრაფ ტემპში ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება, მაგრამ თუ რაიმე საქმის გაკეთებას ვერ მოასწრებთ, ნუ შეეცდებით, თავს წყნარად ატყუოთ. დღეს სასამართლო შეხვედრები და ახალი რომანტიკული გატარება გელით, მხოლოდ ნუ ეცდებით მოვლენების დასაქრებას.
- თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს არ ვურჩევთ მოვლენების ფორსირებას სამსახურში, საჭიროა, ჯიუტად განაგრძოთ დაწყებული საქმე. წესრიგი დააგვარეთ ექვლგან, მით უმეტეს, სხვების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ დიდი ფინანსური ხარჯებისგან. დიდი ალბათობაა იმის, რომ ფულს ტყუილად გადავართ.
- მერწყული** — დღეს წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მთ მოგვარებაზე დიდი დრო და ენერჯია დაგჭირდებათ. შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ გარემომოქაოთებთან და ექვლფურსს ნუ დაჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.
- თევზები** — თქვენს ახლად წარმოქმნილ დავებს დრო არ აქვთ. სჯობს, ერთი მიმართულებით აიწიოთ და მას მიაღწიოთ. კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ, გარემომოქაოთებს და შინაურებთან ურთიერთობაში წინასწარობა რომ შეინარჩუნოთ. რაც მალედაც თქვენს მოთხოვნებს, მით შეტყობა შეცდომის დასაქრებას ალბათობა.

		ა ბ ი ნ დ ი ს		პ რ ი ბ ნ ე ბ ი	
		ორშაბათი		ორშაბათი	
		სამშაბათი		სამშაბათი	
თბილისი	თბილისი	+10	+7	+11	+19
	ქუთაისი	+17	+20	0	0
	ბათუმი	+17	+19	+3	+4
	სოხუმი	+15	+18	+7	+9

## საინფორმაციო მხარდაჭერა

# „მე დავბრუნდი!“

## ნათია ფანჯიკიძის ჰატიენცებმა არტთერაპიის ნამუშევრები გამოფინეს

**ნათია ვასაძე**  
22 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრ „კამარას“ პაციენტების ნამუშევართა გამოფინა — „მე დავბრუნდი“ გაიხსნა. „კამარა“, ორი წლის წინ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მეუღლის, მწერალი გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილის, ფსიქოლოგ ნათია ფანჯიკიძის ინიციატივითა და ფონდ „ლია საზოგადოება — საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით დაფუძნდა და მისი მიზანი ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ ადამიანთა საზოგადოებაში სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშეწყობაა. „კამარა“ საქართველოში ერთადერთი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრია, რომელიც პაციენტებს ინტენსიურ და კომპლექსურ თერაპიას სთავაზობს. რეაბილიტაციის ეს მეთოდი ამერიკელმა ფსიქიატრმა, პროფესორმა ანათინე მიშერმა აშშ-ში დაწერა და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და სწორ სარეაბილიტაციო მეთოდად ითვლება. ნათია ფანჯიკიძემ მიშერის მეთოდი ნიუ იორკში მუშაობისას შეისწავლა და, მოგვიანებით, მისი ქართულ რეალობაზე მორგება გადაწყვიტა.



არტთერაპიის სეანსი, უბრალოდ, ხატვის გაკეთებით არაა და მისი მეშვეობით ადამიანები უარყოფითი ენერჯისგან, შინაგანი მღელვარებისა და დაძაბულობისაგან თავისუფლდებიან. ეს კი, ადამიანების ნერვულ სისტემასა და ფსიქიურ მდგომარეობაზე ერთმნიშვნელოვნად დადებით გავლენას ახდენს.



**ნათია ფანჯიკიძე:** „რეაბილიტაციის ის მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ყველაზე რეალური მოდელია, რათა ადამიანებმა ნარკოტიკსა და ალკოჰოლს თავი დაანებონ... რაც შეეხება გამოფინაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს, ეს ამ ადამიანთა 4-თვიანი შრომის შედეგია. ვინც ასეთი ტიპის დიაგნოზის სპეციფიკა კარგად იცის, მიხვდება, თუ რამხელა ენერჯია ჩადებული თითოეულ ნამუშევარში. საერთოდ, ე.წ. აუტსაიდერების ნამუშევრები მსოფლიოში მეტად პოპულარულია. დღევანდელი მხატვრობა ძალიან დაემსგავსა თვითთერაპიას, თითქოს ნაშაღა პროფესიონალური ზღვარი და ყოველ ასეთ აუტსაიდერს საშუალება მიეცა, ხელოვნებაში სერიოზული სიტყვა თქვას.“

ზემოხსენებულ გამოფინაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევრის ავტორი არაპროფესიონალია. ყოფილი ნარკომანი, „კამარას“ პაციენტი: „თავიდან ასეთი ტიპის ცენტრში მკურნალობას პესიმისტურად ვუდგებოდი, თუმცა ბოლოს, გადაწყვიტე, მაინც მეცადა. ვიფიქრე, მივალ და ვნახავ, რა პირობებია და თუ არ მომეწონა, ნამოვალ-მეთქი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ „კამარაში“ „მოვიწამლე“ — აქ მე საკუთარი თავის რეალიზება მოვახდინე. პაციენტები ნარკომანიის დაძლევაში ერთმანეთს ვეხმარებით... გვიტარებდა იოვანს გაკვეთილები, გვაქვს შეხვედრები ფსიქოლოგთან, ვსწავლობთ სიმღერას, განვიხილავთ პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას... ვიდრე ამ ცენტრში მოვხვდებოდი, ხელოვნების ნიმუშების დათვალიერება უფრო მიყვარდა და არ მიცდია, რამე შემექმნა. მას შემდეგ კი, რაც აქ მოხვდით, ჩემს თავში ახალი შესაძლებლობები აღმოვაჩინე. საერთოდ, აქ თავისი თავი ყველამ იპოვა — ვიღაც ამღერდა, ვიღაცამ დახატა, ზოგმა კლიპი გადაიღო... ყველაფერი ეს „ფხიზელი ცხოვრებით“ ტკბობაში გვეხმარება და „საზოგადოებისგან გარიყულის“ შეგრძნება ნელ-ნელა გვეკარგება... ნარკომანობა არც საამაყო და არც — დანაშაული, ეს ავადმყოფობაა, რომელსაც საზოგადოებისგან ზიზღი და „გარიყვა“ კი არა, დახმარება და მკურნალობა სჭირდება.“



**ვერსია**  
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge  
UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი  
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
მმართველთა: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.  
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანიძე  
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე  
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699  
9 771987 186903

დაცულია საავტორო უფლებები.  
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.